ევროკავშირის კლასტერული პოლიტიკა

ანზორ აბრალავა
სტუ-ს სრული პროფესორი

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური აღმავლობა შეუძლებელია იმ პროცესების სერიოზული მხარდაჭერის გარეშე, რომლებიც უკავშირდება მზარდი ურთიერთკავშირების განვითარებას მსხვილ და მომცრო კომპანიებს, უნივერსიტეტებსა და ფინანსურ სტრუქტურებს შორის. ეს, უპირველეს ყოვლისა, რეგიონულ დონეზე რეალიზდება, მაგრამ მთელი ქვეყნის ეკონომიკას ანიჭებს დინამიზმს. აშშ-ში, მაგალითად, ასობით მილიარდ დოლარს გამოყოფენ რეგიონული ინოვაციური კლასტერების და ბიზნესინკუბატორების მხარდასაჭერად, რადგან მომავალში მას ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის „კრიტიკულ კომპონენტად" მიიჩნევენ [1].

ანალოგიური მიდგომა აქვთ ევროკავშირშიც, სადაც კლასტერულ სტრატეგიებს რეგიონის ინოვაციური განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად განიხილავენ. იქ სამართლიანად არიან დარწმუნებული იმაში, რომ კლასტერები სასიცოცხლო მნიშვნელობის როლს თამაშობენ ფირმების განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში [2].

ექსპერტთა შეფასებით, ამჟამად კლასტერიზაციამ მოიცვა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მეურნეობათა 50%. კლასტერების სიმრავლით გამოირჩევიან აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი, ინდოეთი და სხვა. კერძოდ, კლასტერების ფარგლებში წარმოებული მშპ-ის ხვედრითი წილი აშშ-ში შეადგენს 60%-ს, ევროკავშირში კი 2 ათასზე მეტი კლასტერია, რომლებშიც მთელი მისი სამუშაო ძალის თითქმის 2/5-ია დასაქმებული [3].

ევროკავშირის კლასტერულ პოლიტიკას მისი ჰორიზონტალური და სექტორული პრიორიტეტების ტრანსფორმაციული ცვლილებების შესაბამისი სპეციფიკა აქვს. როგორც ცნობილია, კლასტერების თეორიაში კატეგორიული და მეთოდოლოგიური აპარატების ევოლუცია ჯერ კიდევ XIX ს-ში დაიწყო, როცა ა. მარშალმა ეკონომიკურ საქმიანობაში აგლომერაციების შექმნის უპირატესობა აღწერა (კვალიფიციური სამუშაო ძალისა და გარკვეული სამუშაო ძალის არსებობის გათვალისწინებით). აგლომერაციის იდეებს XX ს-ში მხარი დაუჭირა ი. შუმპეტერმა ე.წ. „თავმოყრის" ანუ კლასტერიზაციის იდეით. შემდგომში ეს თეორია არა მარტო დაზუსტდა, არამედ გაჩნდა მისი დიფერენციაციის მოდელი, რომლითაც დაასაბუთეს რეგიონული კონცენტრაციის იდეა, კერძოდ, გამოკვეთეს სწრაფი ეკონომიკური ზრდის ზონების ფორმირების საჭიროება და პერსპექტიულობა. რაც შეეხება ჩვენს დროს, ახლა უკვე გამოყოფენ ეროვნულ და რეგიონულ ინოვაციურ სისტემებს, კრეატიულ რეგიონებს და ა.შ. კლასტერების ახლებურად გაგებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჯ. ჰარისონმა, რ. საბელამ და მ. პორტერმა.

კლასტერების თეორიის განვითარებაში დიდია იტალიელი მკვლევარის ს.ბეკატის დამსახურება. მან ახლებურად დაასაბუთა სამრეწველო რეგიონი ა. მარშალის კონცეფციაზე დაყრდნობით, თუმცა დააზუსტა იგი და შეავსო ლოკალიზაციური ელემენტით, რომელიც, ავტორის აზრით, დამოკიდებულია არა იმდენად შინაგანი ფაქტორების მოქმედებაზე, რამდენადაც გარე ფაქტორების გავლენაზე, რომელთა ურთიერთქმედებაც ე.წ. ცენტრალურ ადგილებს (ზრდის პოლუსებს) აჩენს.

ევროკავშირში განვითარებული კრიზისის პირობებში კლასტერების კვლევას ახალი ბიძგი მისცა საერთო ტექნოლოგიური პოლიტიკის არსის მაქსიმალურად ობიექტივიზირების მცდელობებმა, პოლიტიკისა, რომელსაც ხშირად ინოვაციური სტრუქტურების კონკურენტუნარიანობის პრიზმაში განიხილავენ ხოლმე. ბოლოდროინდელი კვლევებიდან აღსანიშნავია ის ნაშრომები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია კლასტერების სასიცოცხლო ციკლზე (რ.მარტინი, პ.სანსლეი), მათი სივრცულ-ციკლური მოდელირების თავისებურებებზე, ევროკავშირის ზოგიერთი კლასტერის განვითარების სპეციფიკაზე (მ.ხმარა, ვ.კულიავეცი) და ა.შ. [4, 5].

ყველაზე ზოგადად, კლასტერი შეგვიძლია ვუწოდოთ ერთმანეთთან დაკავშირებული ფირმებისა და ინსტიტუტების სისტემას, რომელიც მთლიანობაში იმაზე უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ელემენტების უბრალო ჯამი. ევროპის ეკონომიკურ მეცნიერებაში კლასტერებად ხშირად მიაჩნიათ ინოვაციებისა და ინვესტიციების თავისებური დიფუზიის ფორმები. მათი განმარტების უნიფიცირების ერთ-ერთი ბოლო მცდე-

ლობა ევროკომისიამ 2008 წ. განახორციელა, და ამიერიდან იგი მხოლოდ ინოვაციებსა და კონკურენტუნარიანობას დაუკავშირა. კერძოდ, ერთ-ერთ სისტემურ დოკუმენტში მითითებულია, რომ კლასტერები გარკვეულ სექტორში ან რეგიონში ამოქმედებული ჯგუფებია, რომლებშიც გაერთიანებული არიან დამოუკიდებელი ინიციატორი საწარმოები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები.

ბოლო 20 წლის მანძილზე ევროკავშირში წამყვანი გახდა წარმოების სექტორული დიფერენციაციის პროცესი, რომლის შედეგადაც წარმოიშვნენ როგორც ინოვაციური კლასტერები (ბიოტექნოლოგიური, პროგრამული უზრუნველყოფის და ა.შ.), ისე ისეთებიც, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი არსებით როლს არ თამაშობდა (მეღვინეობა, საერთაშორისო ტურიზმი). ძნელი მისახვედრი არაა, რომ შეიცვალა ზრდის რეგიონული მოდელები, რომელთა შესახებ პირველი მოსაზრებები ბრიტანელმა მკვლევარმა ჯ. რარმა გამოთქვა. მან პირველმა გამოავლინა კავშირი ინტეგრაციულ დაჯგუფებებში სექტორულ ძვრებსა და მასში ცენტრალიზაციის ან დეცენტრალიზაციის პოლიტიკის გატარებას შორის. [6]. რ. მარტინი და პ. სანსლეი, პირიქით, ამტკიცებენ, რომ კლასტერის კვლავწარმოებით ფუნქციებში მიმდინარე ცვლილებები პირდაპირაა დამოკიდებული მეურნეობის ახალ პირობებთან მათ ადაპტაციაზე [7].

სადღეისოდ სპეციალისტები აქცენტს აკეთებენ იმ ორ წამყვან ტენდენციაზე, რომლებიც კლასტერების ტრანსფორმაციის ხასიათს განსაზღვრავენ. ესაა, ერთი მხრივ, კაპიტალის დაგროვება მისი შემდგომი გამოყენების მიზნით და, მეორე მხრივ, სპეციალიზაციის, მოთხოვნის ელასტიკურობისა და გამოშვებული საქონლის მიწოდების შეცვლა. ამ ორ პროცესს ურთიერთდაკავშირებული ხასიათი აქვს და ტრანსფორმაციული ძვრების დინამიკის თავისებურებებს განსაზღვრავს გლობალური მოთხოვნისა და გლობალური მიწოდების კატეგორიებში. ამასთან, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების ორგანიზაციის ამ მოდელის დასრულებული ციკლის შედეგებს და იმ ახლად შექმნილი კონკურენტი კლასტერების, მაღალრისკიანი სისტემებისა და არაკონკურენტი ფორმირებების განსაზღვრას, რომლებმაც ან ძირფესვიანად უნდა შეცვალონ თავიანთი სპეციალიზაცია, ან არადა არსებობა შეწყვიტონ.

ბუნებრივია, რომ ევროკავშირში მოქმედმა კლასტერებმა შეიძლება სერიოზული ცვლილებები განიცადონ ზომებისა და რეგულირების მოდელების მიხედვით მათი თანდათანობით დიფერენცირების შედეგად. ამის გაცნობიერებით, ევროპელმა სპეციალისტებმა გამოყვეს კლასტერების ჯგუფები შემდეგი სამი საყრდენი ინდიკატორის საფუძველზე:

1. ზომა, რომელიც მათ დაუკავშირეს კლასტერში და მთლიანად ევროკავშირში დასაქმების თანაფარდობას; აღნიშნულია, რომ უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი ნიშანი უნდა იყოს ევროკავშირის ლიდერ რეგიონებში არსებული სტანდარტული მაჩვენებლის 10%-ით გადამეტება;

2. სპეციალიზაცია. მას ადგენენ იმ პირობით, რომ ევროპაში შრომის დანაწილების ფარგლებში რეგიონი სპეციფიკური კლასტერული კატეგორიით გამოირჩევა შესაბამის წარმოებაში დასაქმების მაღალი დონით წარმატებული რეგიონების 10%-ში.

3. ფოკუსი. მას ითვალისწინებენ, თუკი რეგიონის დასაქმების სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წილი კლასტერზე მოდის, კერძოდ, თუკი იგი შედის იმ ანალოგიური კატეგორიის კლასტერების ტოპ-10-ში, რომელთაც ახასიათებს ამ რეგიონში დასაქმების უმაღლესი ხვედრითი წილი.

ამ შემთხვევაში საუბარია კვლავწარმოებითი პროცესების ლოკალიზაციაზე, რის იდენტიფიცირებასაც ევროპელები ახდენენ არა შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების მაჩვენებლების შედარების მეშვეობით, არამედ ეფექტიანი დასაქმებით. საბაზრო ეკონომიკაში იგი უფრო ინფორმაციული შეიძლება იყოს, ვიდრე სხვა ანალიტიკური მოდელები.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ევროპაში მოქმედი კლასტერები ასე შეგვიძლია დავაჯგუფოთ (იხ. ცხრილი). [5].

როგორც ვხედავთ, უმაღლესი („სამვარსკვლავიანი") კლასტერების ხვედრითი წილი ევროკავშირის ეკონომიკაში უმნიშვნელოა და 8%-ს არ აღემატება, აბსოლუტურ უმრავლესობას კი „ერთვარსკვლავიანი" კლასტერები შეადგენენ (1*-3*).

კლასტერული მოდელების ლოკალიზაციის უაღრესად მნიშვნელოვანი ელემენტია მათი ტერიტორიული თავმოყრა 20,57% (ანუ თითქმის ¼), არადა 3*-იანი კლასტერებისთვის ეს დონე კიდევ უფრო მაღალი უნდა იყოს.

ევროპის ეკონომიკის კლასტერიზაციას მთლიანად ევროკავშირის შემდგომი განვითარების საკმაოდ სპეციფიკურ მიმართულებად აღიარებენ. მაგალითად, ინოვაციური განვითარების ამ ფორმების გაჩენას ევროკომისია პირდაპირ აკავშირებს დასაქმების ზრდასთან. 2008წ. დასაწყისში ევროკავშირის მთელი სამუშაო ძალის თითქმის 2/5 რომელიმე კლასტერის შემადგენლობაში მყოფ საწარმოში საქმიანობდა, თანაც, მათ შორის „რეგიონული" განსხვავებები საკმაოდ დიდი იყო- 50%-დან (ლიდერი ქვეყნები)

კატეგორია („ვარსკვლავიანობა“)	რეგიონული კლასტერების რაოდენობა	ხ.წ. რეგიონული კლასტერების მთლიან რაოდენობაში, %	ხ.წ. ტერიტორიის პოტენციალში, %
3*-იანი	155	7,68	1,58
2*-იანი	524	25,98	5,34
1*-იანი	1338	66,34	13,65
სულ	2017	100	20,57
კლასტერული განვითარების პოტენციური ტერიტორიების მთლიანი რაოდენობა	9804	-	100

25%-მდე (ევროკავშირის ახალი წევრები), რაც ნათლად გვიჩვენებს განსხვავებული მოდელების არსებობას. ამის გათვალისწინებით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ორი კატეგორიის-კლასტერული პროგრამებისა და კლასტერული სექტორების იდენტიფიცირებას, რომლებსაც ხშირად აკავშირებენ ევროკავშირის ე.წ. სექტორულ-კლასტერულ პოლიტიკასთან.

სამთავრობო კლასტერული პროგრამები არსებული მოდელების განმტკიცებისა და ახლების შექმნისკენაა მიმართული. რაც შეეხება სექტორულ კლასტერიზაციას, ეს ევროკავშირში ისე ესმით, როგორც არა მარტო კონკრეტულ კლასტერზე დარგობრივად (სექტორულად) მიკუთვნება, არამედ, აგრეთვე, როგორც კონკურენტუნარიანი მოდელების მახასიათებლების ჩამონათვალი მასში წარმოების ორგანიზაციის კუთხით და მოთხოვნა-მიწოდების გათვალისწინებით.

საგულისხმოა, რომ 2008-2009წწ. ფინანსური კრიზისის დროს ნაკლებტექნოლოგიური კვების მრეწველობის დაქვეითების ტემპები 2,5 - 3-ჯერ ნაკლები აღმოჩნდა ინოვაციურ სექტორებთან შედარებით. ამასთან, კლასტერული უპირატესობებით განსაკუთრებით აქტიურად სარგებლობდნენ ევროპული სასურსათო ბიზნესის ისეთი გიგანტები, როგორიცაა Nestle, Heineken, nilever, Danon, Laktalis.

ევროკავშირის პოსტკრიზისული განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტი, ექსპერტთა აზრით, იქნება კლასტერული პროგრამები, რომელთა შორის გამოყოფენ როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ პროგრამებს. ეს ახალი მოდელები იქმნება სახელმწიფოს გავლენითა და დახმარებით და მრავალრიცხოვანი ადგილობრივი თემების თანამონაწილეობით.

კლასტერის განვითარების ევოლუცია შეიძლება პირდაპირ უკავშირდებოდეს თანამედროვე ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალების მოქმედებას, რომლებსაც ეკუთვნის:

- კონკურენტების გავლენა;
- ბაზრებზე მიმდინარე ცვლილებები;
- ინფრასტრუქტურის განვითარების მდგომარეობა;
- კულტურის საერთო დონე;
- ინსტიტუციური ორგანოების მოქმედება, რომელთა გავლენა ევროკავშირში მართლაც რომ თვალში საცემია.

ევროკავშირში კლასტერული სისტემის რეგულირების საყურადღებო ელემენტი თანდათანობით ხდება მისი სტრუქტურული ინსტიტუციალიზაცია. სადღეისოდ აქ შექმნილია ევროპის კლასტერული პოლიტიკის ჯგუფი (ECPG), რომელსაც 5 უმთავრესი მიზანი აქვს დასახული:

- ევროკავშირის კლასტერული პოლიტიკისთვის რეკომენდაციების შემუშავება;
- კლასტერების განვითარების მსოფლიო ტენდენციების შეფასება;
- კლასტერული პოლიტიკის შეხამება გლობალიზაციის გამოწვევებთან;
- კლასტერების ტრანსნაციონალური კოოპერაციის პროცესში არსებული ბარიერების შესუსტება და
- კლასტერების მხარდამჭერი პოლიტიკის ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი.

ევროპაში კლასტერების განვითარების ინსტიტუციალიზაციისთვის ახალ იმპულსად იქცა სპეციალური პროექტის - Europe INNOVA Communications რეალიზება, რომელმაც განსაზღვრა კლასტერული პოლიტიკის არსი EU-2020-ის კონტექსტში. რაც შეეხება პრაქტიკულ ნაბიჯებს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ინოვაციური ღონისძიებების დაფინანსება 2007-2013 წლებში 86 მლრდ ევროს ფარგლებში; დამატებით კიდევ 3,6 მლრდ ევროს დახარჯვა იგეგმებოდა პროგრამა „კონკურენტუნარიანობა და ინოვაციების” შემდგომი განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Jonathan Sallet and Ed Paisley. Innovation Clusters Create Competitive Communities. Huff Post Social News, September 21, 2009.
2. Powerful dusters: Main Drivers of Europes Competitiveness. Brussels, 17i1 October 2008.
3. Портер М. Конкуренция. М.: "Вильямс", 2003.
4. Хмара М. Развитие высокотехнологичных кластеров в ЕС. автореф. дис. канд. экон. наук. — К.: КГУ им. Тараса Шевченко, 2010.
5. Кластерная политика ЕС. allbest. ru/international/2c0a65635a2ac_0.html
6. Rarr J. The Spatial-Cycle Model (SCM) Revisited //Regional Studies. - 2012. - № 46 (2). -P. 217-228.
7. Martin R., Sunsley P. Conceptualizing Cluster Evolution Beyond the Life Cycle Model // Regional Studies. - 2011. - № 45 (10).

КЛАСТЕРНАЯ ПОЛИТИКА ЕВРОСОЮЗА

А. АБРАЛАВА
профессор ГТУ

Экономический подъем в современных условиях невозможен без серъезной поддержки процессов, связанных с развитием растущих взаимо(з)связей между крупными и малыми компаниями, университетами и финансовыми структурами. Она реализуется, в первую очередь, на региональном уровне, однако придает динамизм экономике всей страны.

По экспертным оценкам, ныне кластеризацией охвачено 50% экономик ведущих стран мира. По множеству кластеров выделяются США, Великобритания, Италия, Франция, Индия и др. В частности, удельный вес произведенного в пределах кластеров ВВП составляет 60%, а в ЕС их всего более 2 тысячи, в которых работает примерно 2/5 его рабочей силы.

На сегодняшний день специалисты акцентируют две основные тенденции, определяющие характер трансформации кластеров. Это, с одной стороны, накопление капитала в целях его дальнейщего использования, и, с другой, изменение специализации, эластичности спроса и предложения выпускаемых товаров. Оба этих процесса имеют взаимосвязанный характер и определяют особенности динамики трансформационных сдвигов в категориях глобального спроса и глобального предложения.